განვითარების პოლიტიკა და ევროკავშირი -

სუდანისა და კონგოს მაგალითზე

თათია მეყანწიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრმა: პოლიტიკის მეცნიერებები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

”როგორც წარდგენილი არგუმენტირებული ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად’’.

თათია მეყანწიშვილი

25.06.2017

აბსტრქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ უჭერს მხარს ევროპა განვითარებად ქვეყნებს მოდერნიზაციისკენ სვლაში. თემის ფარგლებში მიმოხილულია აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, სტატიები, ინტერვიუები და მოსაზრებები. ნაშრომის მიზანია შეფასდეს ევროკავშირის პოლიტიკა და მიზანი დაეხმაროს როგორც რეგიონალურ, აგრეთვე საერთაშორისო განვითარებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს შედარებით ღარიბი რეგიონების დახმარების საკითხში. ყურადგება გამახვილდება თუ რამდენად მნიშვნელოვანი და წარმატებულია ევროკავშირის დახმარების პოლიტიკა. აფრიკა კი მესამე სამყაროს ქვეყნებში წარმოადგენს, განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე მდგომ რეგიონს, კვლევა წარმოადგენს, რომ თანამდეროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მართლაც შესაძლებელია განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი რეგიონის მოდერნიზებულ სახელმწიფოებთან დაწევა. სად უფრო კარგად ატარებს ევროპა თავის პოლიტიკას, რომელი ქვეყანა უფრო სწრაფად მიდის მოდერნიზაციისკენ და რა ძირითადი ფაქტორებია განვითარებისთვის აუცილებელი.

ნაშრომი პასუხი გაეცა კითხვას,თუ რა როლს თამაშობს ევროპა შედარებით, ღარიბი რეგიონების განვითარების საკითხში. წარმოდგენილია მესამე სამყაროს ქვეყნებში, კერძოდ სუდანსა და კონგოში არსებული პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ევროპა თანამშრომლობით ახდენს. რათა დანერგოს ის ლიბერალური პრინციპები, რომლებიც სწორედ ევროპული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად. ნაშრომში განხილული იქნა მოცემული ჰიპოთეზის დამამტკიცებელი მაგალითები, რომელსაც საფუძვლად დავუდე მოდერნიზაციის თეორია. აფრიკის რეგიონისა და ევროკავშირის ურთერთთანამშრომლობის დემონსტრირებით კი მოვახდინე თემის დავიწროვება, რათა უფრო კარგად გამომეხატა თუ რას გულისხმობს ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების გაზიარება.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოვიყენე თვისებრივი მეთოდი. კონკრეტულად შემთხვევის შესწავლის (CASE STUDY) მეთოდი. ასევე მოყვანილი მაგალითების დასაკავშირებლად, შემდეგ ამ ტექსტების არგუმენტებით შესადარებლად და პარალელების გასავლებად Disqourse analysis. რამაც კვლევა უფრო ვალიდური და სანდო გახადა. გავსაზღვრე რა ევროკავშირის პოლიტიკის შედეგები, მივედი დასკვნამდე რომ ევროკავშირის პოლიტიკა დაეხმაროს განუვითარებელ ქვეყნებს საკმაოდ შედეგიანია. მათი მცდელობა მესამე სამყაროს ქვეყნებში იყოს მშვიდობა, ეკონომიკური სტაბილურობა, დაცული ადამიანის უფლებები წარმატებით ხორციელდება. თუმცაღა სხვა მკვლევარების მიერ წარმოდგენილი ევროპის მიერ გაწეული დახმარება განუვითარებელი ქვეყნებზე, საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მესამე სამყაროს ქვეყნები. მოდერნიზებული. თანამედროვე ტექნოლოგიები. ლიბერალური ღირებულებები, დემოკრატიული ფასეულობები.

Abstract

The main purpose of this research project is to find out how European Union supports less developed countries in order to modernization. The aim of This project is to estimate EU`s suppurt for the less dveloped countries for promoting regional and international development. This aid from EU is very important for the poorer countries. This paper pays attention to the importance and sucscess of this EU aid policy. As a result, we can see that if we use modern technologies in order to develope any third world country, the result will be positive.

In this paper I examine cases of Sudan and Congo and I tried to demonstrate their problematic issues arranged by Europian Union. The Research paper is based on Modernisation theory and as a Methodology, I used Case Study approach and discourse analysis.

The major Finding of this paper is that politics of EU is very helpful for the less developed third world countries.

Keywords: Third world countres, modernization modern technologies, liberal values, democratic values.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს, რომლებმაც გამიზიარეს დაგროვილი ცოდნა, სამაგისტრო საფეხურზე სწავლის პერიოდში.

განსაკუთრებული მადლობა მსურს გადავუხადო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ - დავით დარჩიაშვილს. მისმა რჩევებმა დიდი დახმარება გამიწია, არჩეული საკითხის კვლევასთან დაკავშირებით. ბატონი დავითის კონკრეტული რჩევების დახმარებით შევძელი მიმეღო ჩატარებული კვლევის შედეგი, რომელსაც თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშველობაც ექნებოდა. დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მისი რჩევების გათვალისწინების საფუძველზე შევძელი ისეთი ფართო საკითხის, როგორიც ევროკავშირი და განვითარების პოლიტიკაა, დავიწროება და შედარებით ახალი სახით წარმოდგენა.

აკადემიურ ხელმძღვანელთან ერთად, მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა საკითხის შერჩევაში და მუშაობისას საჭირო რჩევები მომცა.